ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N9

10.06.2022
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი N 3-01

მიმდინარე წლის 10 ივნისის, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ნინო კვიტაიშვილი**(კომისიის წევრი) და **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი **ვლადიმერ ჭიღლაძე, კახაბერ გულედანი, ლევან ნაროუშვილი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის **6** (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032215961-03; 08.06.2022 წელი);*
   მომხსენებელი - **ვლადიმერ ჭიღლაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.
2. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032215961-03; 08.06.2022 წელი);*

მომხსენებელი - ვლადიმერ ჭიღლაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ვლადიმერ ჭიღლაძე - მიესალმა კომისიის წევრებს და მხარდასაჭერად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების, მერის მოადგილედ კახაბერ გულედანის, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის კანდიდატურები წარუდგინა.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე- მოგესალმებით ყველას, მადლობას გიხდით მობრძანებისთვის, დღის წესრიგში გვაქვს ორი საკითხი, ერთი ეხება ბატონ ლევან ნაროუშვილის კანდიდატურას, რომელიც წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად და მეორე საკითხი ეხება ბატონი კახა გულედანის საკითხს, რომელიც დაიკავებს მერის მოადგილის პოზიციას, პირველ რიგში მინდა მათ წარმატება ვუსურვო მომავალ საქმიანობაში, ჩემგან ნამდვილად არ სჭირდებათ დახასიათება. სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი თანამშრომლობა, დარგობრივი საქალაქო სამსახური არაერთ სპორტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს სადაც თქვენი ჩართულობა აუცილებელია, ასევე გამგეობების მიმართულებით, რაც გულისხმობს მინი სპორტული მოედნების მოწყობა, რეაბილიტაციის სტანდარტიზაციას და მოვლა-პატრონობას, კომისია მუშაობს შესაბამის, დადგენილების პროექტზე, წესზე და ამ მხრივ გთხოვთ სამომავლოდ შეხვედრას, ბევრი რომ არ გავაგრძელო მინდა კვლავ წარმატებები გისურვოთ, მე კითხვა არ მაქვს.

კომისიის წევრებმა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრობის კანდიდატებს წარმატება უსურვეს სამომავლო საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

თავი შეიკავა -ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2),

წინააღმდეგი - (0).

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის

უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

თავი შეიკავა -ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2),

წინააღმდეგი - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე